

ისტორია

გერმანელთა წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორია უბეელეს ხანაში იღებს სათავეს. დღევანდელი გერმანელობა არ წარმოადგენს მხოლოდ გერმანელთა ტომების ჩამომავლობას, არამედ ჩამოყალიბდა გრძელ ისტორიულ პროცესში, ძირითადად, რასაკვირველია ძველ გერმანელთა, მაგრამ ამავე დროს სლავთა, ფრანკთა და სხვა ტომთა აღრევით იმ ისტორიულ ბრძმედში, რომელსაც შუა საუკუნეებს ეძახიან.

დღევანდელ გერმანელს, რომელიც საკუთარ ეროვნებას Deutsch – დოიჩით აღნიშნავს, ძველ გერმანელთა, სლავთა და რომაულ ტომთა სისხლი უჩქევს ძარღვებში. თვით სიტყვა დოიჩ ცალკეულ ავტორთა აზრით, რომაულ theodisc-ს უკავშირდება, რაც არ ატარებს კონკრეტულ მნიშვნელობას, არამედ ლათინთა მიერ არა-რომაულად

მოლაპარაკე ტომთა აღსანიშნავად იხმარებოდა.^[1] დოიჩზე მოსაუბრე ტომები უხსოვარი დროიდან ბინადრობდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ამ ტომთა ნაწილი რომის იმპერიაში მოექცა და შემდგომში, როდესაც რომი ჩაესვენა, ახალი სახელმწიფო ფორმაციების საფუძველი გახდა.

თუკი დღევანდელ გერმანიას, ან საერთოდ ევროპას მივიღებთ მხედველობაში, ნათელი ხდება, რომ მათ საფუძველი ფაქტობრივად კარლოს პირველის, ასევე „დიდად“, „რეფორმატორად“ და „აღმაშენებლად“ წოდებული იმპერატორის მეფობისას ჩაეყარა. კეისარი კარლოსი, როგორც იგი გერმანულენოვან წყაროებში იწოდება, მეფობდა მერვე საუკუნის დასასრულსა და მეცხრე საუკუნის დასაწყისში. არ არსებობს შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც კარლოს კეისრის სახელთან არ იქნებოდა დაკავშირებული. ქრისტეს შემდეგ მერვე საუკუნეში კარლოსმა თავისი მახვილის ქვეშ, ღვთისა და რომის პაპის შემწეობით, გააერთიანა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა. იგი იყო ხელმწიფე ფრანკთა, გერმანთა და ლანგობარდთა. კარლოსმა შეაკავშირა ევროპული ტომები და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის გავრცელებაში. კარლოსს ხშირად ასახავენ ჩვენი დავითივით ეკლესიით ხელში. მან ევროპაში ააგო ათასობით ეკლესია-მონასტერი, შემოიღო და გაავრცელა სკოლები, დაარსა აკადემიები. მისი მრჩეველი, წარმოშობით ბრიტანელი, ალკუინი ყოველ დონეს ხმარობდა, რომ განათლება შეეტანა სამეფო კარისა სხვა დიდებულთა ოჯახებში. მისი პირველი ხელისშემწეობი სწორედ კარლოს დიდი იყო. მართალია, თვით ხელმწიფე არ ფლობდა მეცნიერებებსა და ღვთისმეტყველებას, მაგრამ დიდად აფასებდა მათ და უდიდესი რუდუნებით ავრცელებდა. მისი იმპერია, რომელიც დუნაიდან ებრომდე და ჩრდილოეთის ზღვებიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული, ძნელად თუ ჰპოვებს ანალოგს ისტორიაში. მართალია, კარლოსს აღმოსავლეთის, სლავთა ტერიტორიები უშუალოდ არ დაუპყრია, მაგრამ კარლოსის სახელს უკავშირდება აღმოსავლეთ სლავური rjhkm - ხელმწიფე. სწორედ კარლოსის სახელი იქნა განზოგადებული ამ ერებში ხელმწიფის აღსანიშნავად. რაც სლავურ wfhm-ს შეეხება მისი ძირიც კეისრიდან ან „ცეზარ“-იდან უნდა მოდიოდეს.

კარლოსთან გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, იტალიელები და ევროპის სხვა დიდი თუ მცირე ტომები ერთი დროშის ქვეშ იყო მოქცეული. აქცენტი, რასაკვირველია, გერმანელებსა და ფრანგებზე კეთდებოდა, რადგანაც იტალიელები, ისევე, როგორც ესპანელები, უფრო გვიანდელი პერიოდის მოვლენაა, - კარლოსის დროს არავინ ახასიათებდა აპენინისა და პირინეის მოსახლეობას იტალიელებად და ესპანელებად.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპული შუა საუკუნეები კარლოსით იწყება და ნაპოლეონით მთავრდება. რასაკვირველია, ფორმალური თვალსაზრისით, შუა საუკუნეების ხანა უფრო ადრე მიიწურა, მაგრამ სწორედ ნაპოლეონი იყო ევროპის ბოლო კეისარი. მის შემდგომ, კაპიტალიზმის აღმოცენებისა და დამკვიდრების პერიოდში ბევრი ირქმევდა კეისარს, მაგრამ არ იყო ნამდვილი კეისარი. ამისათვის ადარც პირობა არსებობდა. ნაპოლეონის შემდგომი ევროპა დაქუცმაცებული და დანაწევრებული იყო უამრავ პატარა სამთავროდა და სახელმწიფოდ.

გერმანიის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში კარლოს დიდის შემდგომ ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის მეფე ოტო პირველს. თუკი კარლოსმა დიდი ევროპული სახელმწიფო

შექმნა, ოტო იყო პირველი, რომელმაც ამ დიდი იმპერიის გერმანული ნაწილი შეკრა და გააერთიანა. ჯერ კიდევ ოტოს მამის ჰაინრიხ პირველის დროს შეიკრიბა ერთ ბაირადქვეშ გერმანელთა ხუთი სამთავრო: საქსონია, ფრანკეთი, ლოტარინგია, შვაბეთი და ბავარია. ეს არ ნიშნავდა მათ სახელმწიფოდ გაერთიანებას. იმ პერიოდის ევროპაში ცნება „ეროვნული სახელმწიფო“ ჯერ არ არსებობდა. ოტო იყო პირველი, ვინც გერმანიის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფოს შექმნა შეძლო. ოტოს მეფობა მათე საუკუნეზე მოდის. მანაც, ისევე, როგორც მისმა დიდმა წინამორბედმა კარლოსმა ცეცხლითა და მახვილით აიძულა თავად-აზნაურობა ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებულიყვნენ. ამ გაერთიანებას უკვე ეროვნული სახელმწიფოს ხასიათი მიეცა.

ამ პერიოდში იწყება გერმანიაში რეფორმაცია. მის მამამთავრად მღვდელი და სწავლული მარტინ ლუთერია აღიარებული. ლუთერის რეფორმას არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ღრმა პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. მისი იდეოლოგია მოქალაქის იდეოლოგია იყო. ამ პერიოდისათვის ძალზე მომგრდნენ ცალკეული ქალაქები, რომლებშიც უკვე არა ფეოდალთან საბედისწეროდ დაკავშირებული გლეხობა, არამედ თავისუფალი მოქალაქენი ცხოვრობდნენ. მათთვის გარკვეულწილად მიუღებელი იყო ტრადიციული რელიგიური იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის პრაქტიკული განხორციელება ადამიანის პირადი თავისუფლებისათვის ადგილს აღარ ტოვებდა. ქალაქის მცხოვრებისათვის კი პირადი თავისუფლება მნიშვნელოვანი რამ იყო. მარტინ ლუთერმა შეძლო ამ სწრაფებისა და საერთო განწყობის ცვლილების მოხიზა. მისი რეფორმები უპირველესად მოქალაქეებმა აიტაცეს. ლუთერი საუბრობდა ქრისტიანი მორწმუნე ადამიანის თავისუფლებაზე, მის პასუხისმგებლობაზე ღვთის და არა ეკლესიის მიმართ. იგი მიიჩნევდა, რომ ღმერთთან კავშირი ადამიანის პირადი საქმეა. იგი მოუწოდებდა სერიოზული რეფორმებისაკენ. ყოველივე ამისათვის ნიადაგი მზად რომ არ ყოფილიყო, ლუთერს შეეძლო თავისი მოღვაწეობა კოცონზე დაემთავრებინა, მაგრამ იგი ქალაქებმა დაიცვეს. როდესაც ლუთერი კარლოს მეხუთემ ვორმსში დაიბარა საქმის გასარჩევად და მის დაპატიმრებას აპირებდა, ვიტენბერგის მოქალაქეებმა თითქმის ჰალემდე მიაცილეს იგი. აქ ჰალეს მოქალაქენი გამოეგებნენ და შემდეგ ქალაქამდე მიჰყვნენ. ეს ასე გაგრძელდა, სანამ ლუთერი მშვიდობით ჩააღწევდა ვორმსს. აქაც, კარლოს მეხუთესთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ, იგი სასახლიდან გამოაპარეს და ისევე თანხლებით ჩააცილეს უკან ვიტენბერგში. სწორედ ლუთერის წამოწყებული რეფორმაციის შედეგია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ საზოგადოების წევრი არის მოქალაქე, რომელიც საკუთარ თავისუფლებას ღრმა პასუხისმგებლობას უკავშირებს ღვთისა და თანამოქალაქთა წინაშე. მოქალაქის უპირველესი მახასიათებელი უფლებისა და მოვალეობის ერთ სისტემაში, წონასწორობაში მოყვანაა. როგორც ფერნაუ აღნიშნავს, ლუთერმა აიძულა

ადამიანები „ვაუკაცური პასუხისმგებლობა“ აეღოთ თავზე.^[2] დღევანდელი დასავლეთევროპული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის სწორედ ლუთერისეული რეფორმაცია იყო ერთერთი წყარო. მისით დაიწყო კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპოქა, რომლის იდეებმაც მოგვიანებით, უკვე მე-18 საუკუნეში კანტთან ჰპოვა საკუთარი აპოლოგია. ლუთერს ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის თანამედროვე გერმანული ენის ჩამოყალიბებაში. სწორედ მან თარგმნა გერმანულად ახალი აღთქმა.

ოცდაათწლიანმა ომმა ბევრი უბედურება მოუტანა გერმანიას. ქვეყანა ცალკეული ნაგლეჯებით შეკოწიწებულ ხალიჩას დაემსგავსა. უამროავი ჰაიარა სამთავროები წვრილფეხა თავად-აზნაურებით რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას ესწრაფოდნენ.

პიეტიზმი სათავეს მე-17 საუკუნეში იღებს, როდესაც დამქანცველი ომების შემდეგ ადამიანებს სიმყუდროვე, სიმშვიდე და განკერძოება მოენატრათ.

ბლაცი უხსოვარი დროიდან მოქმედებდა. ის კი არა და, როგორც ბახის ბიოგრაფები მოგვითხრობენ, მასაც ნათესაური კავშირების ამოქმედება დასჭირდა, რომ სასურველი დანიშნა მიეღო.^[3]

კანტი ემანუილად იყო მონათლული და რატომღაც შემდგომში იმანუილი დაირქვა.

ეს იმ წლებში მოხდა, როდესაც იმანუილ კანტი ჯერ კიდევ ბილიარდის თამაშით შოულობდა ფულს (1740- იანი წლები).

გერმანიის ომის შემდგომი ისტორია ქვეყნის დანაწევრებით იწყება. ოთხმა საოკუპაციო მოკავშირემ: საბჭოთა კავშირმა, ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა დაიყო გერმანიის ტერიტორია. ტერიტორიის ერთი ნაწილი გერმანიამ დაკარგა. დასავლეთის საოკუპაციო ზონები მალე გაერთიანდა და 1949 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად მოგვევლინა. დასავლეთ გერმანელები ამ წლებში საკუთარ თავს ირონიით უწოდებდნენ „ტრიზონიელებს,“ - სამი გაერთიანებული საოკუპაციო ზონის მიხედვით. აღმოსავლეთის საოკუპაციო ზონაში ამავე წელს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. აქ სახელმწიფოს სათავეში კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალისტების გაერთიანებული პარტია მივიდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერი ქრისტიან-დემოკრატი პოლიტიკოსი, რაინისპირელი კონრად ადენაუერი გახდა. აღმოსავლეთ ზონაში ქვეყნის სათავეში კომუნისტი ვალტერ ულბრიხტი მოექცა. ვილი ვინკლერი წერს, რომ დასავლეთ გერმანიის ყველა ომის შემდგომი კანცლერი და პრეზიდენტი ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ფაშისტურ მმართველობასთან 1933-1945 წლებში, თუკი ცალკეულ გამონაკლისებს და გვიანდელ

პოლიტიკოსებს არ ჩავთვლით.^[4] აღმოსავლეთ გერმანიის მმართველებს კი მოსკოვთან ჰქონდათ კავშირები.

დასავლეთის სამი ზონა ომის შემდგომ ე.წ. მარშალის გეგმის ნაწილად გადაიქცა. ეს გეგმა ქვეყნის სამეურნეო აღორძინებაზე იყო მიმართული და განსაცვიფრებელი შედეგები გამოიღო. გერმანია, ყოველ შემთხვევაში მისი სამი დასავლეთი ზონა მაინც, მალე დადგა ფეხზე და აქტიურად ჩაება დასავლეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში. მარშალის გეგმით მიწოდებულ დახმარებას დაემატა გერმანული გულმოდგინება, პროფესიონალიზმი, შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ამ შეკრებამ საოცარი შედეგი მოიტანა. დასავლეთ გერმანიაში დაიწყო ის, რასაც შემდგომში გერმანული ეკონომიკური სასწაული დაარქვეს. 194 წელს ჩატარდა ფულის რეფორმა. ინფლაციური რაისმარკა გერმანულმა მარკამ შეცვალა. რეფორმა საიდუმლოდ მზადდებოდა და მოსახლეობამ მასზე არაფერი იცოდა. ერთ დამეში შეიცვალა ფული. ამ ფულის გასამაგრებლად უცებ მაღაზიებიც გაივსო საქონლით. შავმა ბაზარმა ერთ დამეში დაჰკარგა მნიშვნელობა. გერმანელებს უკვე შეეძლოთ ნებისმიერი საქონლის მაღაზიაში ყიდვა. ამისათვის მარკები იყო საჭირო. მარკების მოპოვება კი შრომით შეიძლებოდა. ომის შემდეგ მიმოქცევაში მყოფი საკვები პროდუქტის ბარათები 1950 წლის გაზაფხულზე საბოლოოდ გაუქმდა. 50-60-იანი წლები გერმანიის სწრაფი სამეურნეო ზრდის წლები იყო. სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში მოიშუშა გერმანიამ ომით მიყენებული იარაღები და ევროპის წამყვან სამეურნეო ძალად გადაიქცა, მიუხედავად 15 მილიარდი მარკა კონტრიბუციისა, რომელიც დასავლეთ გერმანიამ ომის ზარალის ასანაზღაურებლად და მარშალის გეგმით გათვალისწინებული ინვესტიციების გასასტუმრებლად გადაიხადა. დასავლეთ გერმანია 40-იანი წლების ბოლოდანვე იყო დასავლეთევროპული ეკონომიური გაერთიანებების წევრი. შემდგომში ეს გაერთიანებანი ევროპის საერთო ბაზარსა და ბოლოს ევროპის გაერთიანებაში გადაიზარდა. აღმოსავლეთ გერმანია აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური ბანაკის სამეურნეო და პოლიტიკურ გაერთიანებებში. იგი სოციალისტური ბანაკის ერთერთი მოწინავე ქვეყანა გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ომის შემდგომ იფიცებოდნენ, გერმანელი იარაღს ხელში აღარასოდეს აიღებსო, 1955 წელს დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერი, ხოლო 1956 წელს აღმოსავლეთ გერმანიის სახალხო არმია შეიქმნა. გასაგებია, რომ ბუნდესვერი ნატოს მილიტარისტული ბლოკის, ხოლო სახალხო არმია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე გახდა. მიუხედავად ეკონომიკური სიძლიერისა და ევროპაში სერიოზული გავლენისა, ორივე გერმანული ქვეყანა 70-იან წლებამდე დიპლომატიური თვალსაზრისით იზოლირებული იყო. მხოლოდ 70-იან წლებში გახდა ორივე გაეროს წევრი და აღიარებულ იქნა სხვა ქვეყნების მხრიდან. ამ წლებში ბერლინში მომიწია ცხოვრებამ და მახსოვს, თუ რა სისწრაფით აარსებდნენ საელჩოებს ქვეყნები. დღე არ გავიდოდა, რომ მთავრობაში ახალი ელჩი არ მიეღოთ აუდიენციით და აგრიმანით.

როდესაც ჩერჩილის გამოსვლის შემდეგ ფულტონში, რომელიც კომუნიზმთან დასავლეთის პირველ ომის შემდგომ დაპირისპირებას წარმოადგენდა, ცივი ომი

გაჩაღდა, ორივე გერმანია ამ ომის ბრძოლის ველად გადაიქცა. სოციალისტური ბანაკის მხრივ ცივი ომი ძირითადად 1953 წლიდან, სტალინის გარდაცვალების შემდეგ გამწვავდა, როდესაც გდრ-მ რამდენიმე გამომწვევი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, შემოქმედებისა და პოლიტიკური თავისუფლება საგრძნობლად შეზღუდა და დასავლეთ გერმანიას დაუპირისპირდა. ალბათ არცერთ ქვეყანაში არ მოქმედებდა იმდენი მზვერავი, ჯაშუში და აგენტი, რამდენიც გერმანიაში. ბერლინში კი მათი რაოდენობა უზომო იყო. ამ საქმეს ხელს არაგინ აკლებდა: ყველა, ვისაც სადაზვერვო სამსახურის ყოფილი და შენახვა შეეძლო, თავს მოვალედ თვლიდა ბერლინში სააგენტურო ქსელი ჰქონოდა. ეს ეხება, როგორც აღმოსავლეთ ისევე დასავლეთის ქვეყნებს. აქ ერთმანეთში ირეოდნენ საბჭოთა, ამერიკელი, გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა ქვეყანათა ჯაშუშები. გარდა ამისა გერმანია გაივსო გამანადგურებელი იარაღით, როგორც ერთი, ისევე მეორე მხრიდან. სხვა ქვეყნის მილიონობით ჯარისკაცი იდგა გერმანიის ტერიტორიაზე.

1961 წლიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. დასავლეთის სადაზვერვო ორგანიზაციების აქტიურობისა და პოლიტიკური წრეების ძირგამომთხრელი საქმიანობის პასუხად გდრ-ს მთავრობამ ბერლინში ქალაქის გამყოფი კედელი ააშენა. ეს კედელი 1989 წლამდე შეუვალად იდგა და არა მხოლოდ გერმანიას, არამედ თითქოს მთელ ევროპას ჰყოფდა ორ მტრულ ბანაკად.

გერმანია არასოდეს იყო პოლიტიკური სიმშვიდის საყუდელი. აქ ყოველთვის დუღდა პოლიტიკური ცხოვრება და მოსახლეობა საკმაოდ აქტიური იყო. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასასრული, განსაკუთრებით 1968 წელი გერმანიაში, ისევე, როგორც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ახალგაზრდული პროტესტის წლები იყო. ამ წლებში ახალგაზრდობა ქუჩებში გამოვიდა და ღიად დაუპირისპირდა მმართველ წრეებს. ეს პროტესტი უპირველესად დამკვიდრებული ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი იდეა ამერიკიდან წამოვიდა, სადაც ამ დროს მძლავრობდა ჰიპების მოძრაობა. ევროპაში ამ პროტესტის ძირითადი მატარებელი ძალა სტუდენტობა იყო, თუმცა ახალგაზრდობის სხვა ფენებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მასში. იგი ხშირად ქაოტურ, უწესრიგო ხასიათს ატარებდა. 68-იანთა თაობამ იმ წლებში კონკრეტულად ბევრს ვერაფერს მიაღწია, გარდა იმისა, რომ გარკვეულწილად შეცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება. უფრო გვიან ამ პროტესტის ტალღაში მონაწილე პირები, ყოველ შემთხვევაში მათი აქტიური ნაწილი მაინც, მწვანეთა პარტიის გავლით დიდ პოლიტიკაში დამკვიდრდა. ბევრმა, სხვა, არცთუ უმნიშვნელო ადგილი მოიპოვა საზოგადოებაში. დანიელ კონ-ბენედიტი ევროპის პარლამენტის დეპუტატია, თომას შმიდი მასმედიაში მოღვაწეობს, ხოლო იოშკა ფიშერი, რომელმაც კეტები ძვირფას ფეხსაცმელზე გადაცვალა, საგარეო საქმეთა მინისტრ იოსებ ფიშერად გადაიქცა და როგორც ვილი ვინკლერი ამბობს თავისი წილი „თევზის ჭერას შეუღდა“

(Fischer გერმანულად მეთევზეს ნიშნავს).^[5]

პროტესტის რამდენიმე ტალღამ გადაუარა გერმანიას 70-80-იან წლებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავი სამშვიდობო მარშები იყო, რომლებმაც 80-იანი წლების დასაწყისში მთელი დასავლეთ გერმანია მოცვა. ეს მარშები შეიარაღების წინააღმდეგ იყო მიმართული და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს აერთიანებდა. ამ წლებში გერმანიაში ყოფნისას მეც მომიწია რამდენიმე ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობამ. განსაკუთრებით ბონში ჩატარებული ნახევარმილიონიანი დემონსტრაცია დამამახსოვრდა.

მთელი ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდებოდა გერმანელთა სწრაფვით გაერთიანებისადმი. ჩვენში ბევრს არ ახსოვს და ჯერ კიდევ 1952 წლის გაზაფხულზე შესთავაზა სტალინმა მოკავშირეებს გერმანიის გაერთიანება პოტსდამში შეთანხმებულ საზღვრებში და ყველა უცხო ჯარის გაყვანა ორივე გერმანიის ტერიტორიიდან (ე.წ. „სტალინის ნოტები“). დასავლეთელებს ამგვარი გაერთიანება არ ეპიტნავებოდათ, რადგანაც ამერიკა იძულებული გახდებოდა ევროპიდან გაეყვანა ჯარები. ეს კი მის გავლენას შეამცირებდა. გერმანიის გაერთიანების მცდელობა არასოდეს შემწყვდარა, მაგრამ რეალური შედეგი მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს გამოიღო, როდესაც გდრ ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც დაშლამდე მივიდა, ხოლო გერ-მ განვითარებულ ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილი დაიკავა. ამას სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საერთო სისუსტე დაერთო და რუსეთი იძულებული გახდა გაერთიანების დასავლური

პირობები მიეღო. ეს გაერთიანება მაინც მოხდებოდა ადრე თუ გვიან, რადგანაც აღმოსავლეთ გერმანელებს მობეზრებული ჰქონდათ მმართველთა უნიათობა და სისტემის უაზრობა, პოლიტიკური და კულტურული შეზღუდვები, ეკონომიკური პრობლემები. დასავლეთი ამ ცეცხლზე ნავთს ასხამდა და მთელი ძალით ცდილობდა სოციალისტური გერმანიის დამხობას. საბოლოოდ საქმე ასეც დამთავრდა: გდრ-მ ყველა ორთაბრძოლა პირწმინდად წააგო და დაიშალა. მისი პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ნაწილი გაერთიანებულ გერმანიაში სასამართლოს წინაშე წარდგა. ბევრ მათგანს გრძელი სასჯელიც დაედო. ამ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მონაწილეობდა შიდა გერმანულ საზღვარზე ავტომატური სასროლი დანადგარების დამონტაჟებაში. ეს დანადგარები მოძრაობაზე რეაგირებდნენ და ყველაფერს ესროდნენ, რაც მათი კონტროლის არეში ხვდებოდა. მათ რამდენიმე ასეული ადამიანი იმსხვერპლეს, ვისაც აღმოსავლეთიდან დასავლეთში უნდოდა გაქცევა. ასევე სასამართლოს გადაეცა გდრ-ს საიდუმლო სამსახურის ე.წ. შტაზის უამრავი თანამშრომელი, რომელსაც დანაშაულებრივი საქმიანობა დაუდასტურდა.

საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის გერმანიის ბედიბალში ორ ქართველს აქვს გადამწყვეტი როლი შესრულებული. სტალინს პოტსდამის ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი, ხოლო შეგარდნაძეს, - გერმანიის გაერთიანების დოკუმენტებზე. ეს ფაქტი ბერლინის ქალაქის თავმა დიპენმატ აღნიშნა თავის გამოსვლაში 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიღებისას ბერლინის საქალაქო საბჭოში.

შტოიბერს ვილი ვინკლერი „უკანასკნელ პრუსიელს“ უწოდებს. [\[6\]](#)

[1] იხ. Seibt, გვ. 66

[2] ფერნაუ ამას გერმანულად „mutige Verantwortung“-ს არქმევს (Fernau, გვ. 137)

[3] Fernau, გვ. 173

[4] Winkler, გვ. 35-40

[5] Winkler, გვ. 30

[6] Winkler, გვ. 64